პ რ ე ს რ ე ლ ი ზ ი

აგრარულ საკითხთა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების ერთობლივი სხდომა

ერთობლივი სხდომის განსახილველი საკითხები:

1. **აგრარულ საკითხთა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტების მიერ თემატური მოკვლევის ინიცირება თემაზე: "DCFTA-ით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების აღსრულების გადავადების შესახებ".**
   საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 155-ე მუხლის თანახმად, საკითხის შესწავლისა და შესაბამისი გადაწყვეტილების პროექტის მომზადების მიზნით, დაინიშნება თემატური მოკვლევის ჯგუფი და დაიწყება თემატური მოკვლევის პროცესი "DCFTA-ით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების აღსრულების გადავადების შესახებ".

2. **საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ანგარიში სოფლის მეურნეობის მიმართულებით საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებისა და საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2021 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებისა და 2022 წლის ვალდებულებების შესახებ.**
   2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა და 2014 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა „ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას", რომლის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ" შეთანხმება (DCFTA), რაც გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას. გარდა ამისა, იგი მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხთა ფართო სპექტრს (მაგ.: სურსათის უვნებლობა, კონკურენციის პოლიტიკა, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, ფინანსური მომსახურება და სხვა) და ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან. სანიტარიული და ფიტოსანიტარიული მიმართულებით საკანონმდებლო დაახლოების სამოქმედო გეგმა განსაზღვრულია DCFTA შეთანხმების XI-B დანართით. აღნიშნული დანართის მიხედვით, საქართველომ აიღო ვალდებულება 2015 – 2027 წლებში,

საკუთარი კანონმდებლობა დაუახლოვოს ევროკავშირის 272 სამართლებრივ აქტს. საკანონმდებლო დაახლოების პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი - ლაშა ინაური წარმოადგენს

აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ განსახილველი საკითხები

3. **აგრარულ საკითხთა კომიტეტთან არსებული მეჩაიეობის დარგის პრობლემების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ.**
4. **კომიტეტის აპარატის საქმიანობის შეფასების დოკუმენტის დამტკიცება.**

   საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 46-ე მუხლის საფუძველზე, კომიტეტთან შექმნილი მეჩაიეობის დარგის პრობლემების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის შესახებ - საკითხს და კომიტეტის აპარატის საქმიანობის შეფასების დოკუმენტის დამტკიცების საკითხს აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ნინო წილოსანი წარმოადგენს.